ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #3

27 ნოემბერი 14.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, ნ.ლაცაბიძე, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.მამულაშვილი, ფ.ინჯია, მ.დათუკიშვილი, ლ.დარახველიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. მეექვსე მოწვევის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების გაცნობითი ხასიათის შეხვედრა;
2. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის უფლებამონაცვლის საკითხის განსაზღვრა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების

კომისიის სამუშაო გეგმაზე. კომისიის მიზანია თბილისის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება; კვლევების, სტრატეგიების, პროგრამების, პროექტების და სხვა შემუშავება, მათი განხორციელება და ხელშეწყობა.

კომისიის წევრების აზრით საჭიროა ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან მჭიდრო ურთიერთობა, გამოცდილების გაზიარება, მსჯელობა კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე სხვადასხვა მიმართულებებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნა ლევან დარახველიძის კანდიდატურა. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზემოაღნიშნულ კანდიდატს.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ი.ჯიშკარიანმა, ლ.დარახველიძემ, ფ.ინჯიამ, მ.დათუკიშვილმა

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია